საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება №97
2024 წლის 27 დეკემბერი

ქ. თბილისი

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა დისციპლინური წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №989 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა დისციპლინური წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №989 ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 31/12/2013, 140130000.22.034.016240) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ბრძანების პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებულ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა დისციპლინურ წესდებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) სპეციალური წოდების ერთი საფეხურით ჩამოქვეითება;“;

ბ) მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) სპეციალური წოდება;“;

გ) მე-5 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. დისციპლინური სახდელის სახით სპეციალური წოდების ერთი საფეხურით ჩამოქვეითების შემთხვევაში, წოდების აღდგენა ხდება უფლებამოსილი პირის ბრძანებით. იგივე წესი მოქმედებს აღნიშნული პირის სამსახურში ხელახალი მიღების შემთხვევაშიც.“;

დ) მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) მორიგი სპეციალური წოდების ვადამდე მინიჭება;“.

2. ბრძანების პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული იმ პირთა ნუსხა, რომელთაც აქვთ მოსამსახურეთა წახალისების უფლება (დანართი №2) ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2025 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს შინაგან საქმეთა
მინისტრი — **ვახტანგ გომელაური**

„დანართი №2

იმ პირთა ნუსხა, რომელთაც აქვთ მოსამსახურის წახალისების უფლება
(გავრცელდეს 2016 წლის 1 აპრილიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

თანამდებობის დასახელება	უფლება წახალისების გამოყენებაში
1	2
1. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი	ყველა სახის წახალისების გამოყენება
2. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე და მოადგილეები (საკურატორო სფეროების მიხედვით)	მადლობის გამოცხადება, დისციპლინური სახდელის ვადამდე მოხსნა (გარდა მინისტრის მიერ დადებული სახდელისა), ფულადი ჯილდოთი ან ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, კომპეტენციის ფარგლებში მორიგი სპეციალური წოდების ვადაზე ადრე მინიჭება
3. სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელები	მადლობის გამოცხადება, ფულადი ჯილდოთი ან ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება და მათ მიერ განხილული და დადებული სახდელის ვადამდე მოხსნა
4. სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ხელმძღვანელები	მადლობის გამოცხადება, ფულადი ჯილდოთი ან ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება და მათ მიერ განხილული და დადებული სახდელის ვადამდე მოხსნა

”